ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №184

2011 წლის 28 დეკემბერი
ქ. ქობულეთი

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 30 აგვისტოს №110 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შევიდეს ცვლილება „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 30 აგვისტოს №110 განკარგულებაში თანახმად დანართისა;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე. ბაგრატიონი);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა №30)

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეკლამის განთავსების გეგმა

I ლოტი – დავით აღმაშენებლის გამზირი, მეგობრობის ქუჩის 640 მეტრიანი მონაკვეთი. (სარეკლამო ფართი 1398 კვ.მ.)

ა) დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებული განათების ბოძი 100 ცალი, რომელზეც შეიძლება განთავსდეს არანაკლებ 4.5 მ სიმაღლეზე 2კვ.მ. ფართის ორმხრივი დროებითი სარეკლამო კონსტეუქცია, საერთო სარეკლამო ფართი 400 კვ.მ.

ბ) დავით აღმაშენებლის გამზირზე 9 აპრილის სკვერის მიმდებარედ ორმხრივი კონსტრუქცია ზომით 3X6მ, საერთო ფართით 36 კვ.მეტრი.

გ) დავით აღმაშენებლის გამზირზე ყოველ 3 კილომეტრში ქუჩის გადამკვეთი ორმხრივი ფირნიშები ზომით 1X10მ, საერთო ფართით 120 კვ.მეტრი.

დ) ყოველ 1.5 კილომეტრში ქუჩის გადამკვეთი დროებითი გადასაჭიმი ორმხრივი ფირნიშები 3 ცალი ზომით 1X10 მ, საერთო ფართით 60 კვ.მეტრი.

ე) სოფ.ელ ბუკნარის ყოფილი საკონსერვო ქარხნის მიმდებარედ ორმხრივი კონსტრუქცია ზომა 3X6 საერთო ფართი 36კვ.მ.

ვ) აჭარა-გურიის ადმინისტრაციული საზღვარის მიმდებარედ ორმხრივი ხიდისებური კონსტრუქცია 2X(2.5X16) =80 კვ.მ.

ზ) საჯავახო-ოზურგეთი-ბათუმის ცენტრალური მაგისტრალის ქობულეთის ადმინისტრაციულ საზღვრამდე მაგისტრალის გასწვრივ ყოველ 2 კმ. ორმხრივი კონსტრუქცია 10 ცალი თითო ზომით 3X6 საერთო სარეკლამო ფართი 360კვ.მ.

თ) საჯავახო-ოზურგეთი-ბათუმის ცენტრალური მაგისტრალის ქობულეთის ადმინისტრაციულ საზღვრამდე მაგისტრალის გასწვრივ ათი ცალმხრივი კონსტრუქციები, თითო ზომით 3X9 მ. საერთო ფართი 270 კვ. მეტრი.

ი) დაბა ჩაქვში თამარ მეფის ქ. №63-ის მოპირდაპირედ ორმხრივი კონსტრუქცია ზომა 3X6მ, საერთო ფართი 36კვ.მ.

II ლოტი – რუსთაველის ქუჩა, თავისუფლების ქუჩა რკინიგზის გადასავლელამდე. (სარეკლამო ფართი 982 კვ.მ.)

ა) რუსთაველის ქუჩაზე (სადგური-ვერულიძის ქუჩის კვეთამდე) არსებული განათების ბოძი 80 ცალი, რომელზეც შეიძლება განთავსდეს არანაკლებ 4.5 მ სიმაღლეზე 2კვ.მ ფართის ორმხრივი დროებითი სარეკლამო კონსტრუკცია, საერთო სარეკლამო ფართი 320 კვ.მ.

ბ) რუსთაველის ქუჩაზე (სადგური-ვერულიძის ქუჩის კვეთამდე) 4 ცალი ქუჩის გადამკვეთი ორმხრივი ფირნიშები ზომით 1X10მ, საერთო ფართით 80 კვ.მეტრი.

გ) თავისუფლების ქუჩის სამხრეთი მხარე აგს "ლუკოილი"-ს მიმდებარედ ორმხრივი კონსტრუქცია ზომით 3X6 კვმ, საერთო ფართით 36 კვ.მეტრი.

დ) აჭარა-გურიის ადმინისტრაციული საზღვარი ზურაბ ჟვანიას ხიდის მიმდებარედ ორმხრივი ხიდისებური კონსტრუქცია 2X(2.5X16)=80 კვ.მ.

ე) დავით აღმაშენებლის გამზირზე ყოფილი დ/ს "ჩირაღდანი"-ს მიმდებარედ ორმხრივი ხიდისებური კონსტრუქცია 2X(2.5X16)მ, საერთო ფართით 80 კვ.მ.

ვ) ქ. ქობულეთის რკინიგზის სადგურის მიმდებარედ ხუთი ცალმხრივი კონსტრუქციები, თითო ზომით 3X9 მ. საერთო ფართი 135 კვ.მ.

ზ) ქობულეთი სოფ. ბობოყვათი აბაშიზის ქუჩა ყოფილი ბენზინ გასამართი სადგურის მიმდებარედ ორმხრივი კონსტრუქცია ზომა 3X6 საერთო ფართი 36კვ.მ.

თ) ქობულეთი, სოფ. ციხისძირი, პეტრას ციხის მიმდებარედ ოთხი ცალმხრივი კონსტრუქცია თითო ზომით 3X9 საერთო სარეკლამო ფართი 108 კვ.მ.

ი) ქობულეთი, სოფ. ციხისძირის მეურნეობის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ ცალმხრივი კონსტრუქცია ზომით 3X9 საერთო სარეკლამო ფართი 27 კვ.მ.

კ) დაბა ჩაქვში თამარ მეფის ქ. რომპეტროლის მიმდებარედ ორმხრივი ხიდისებური კონსტრუქცია ზომა 2X(2.5X16) მ. საერთო ფართი 80კვ.მ.

III ლოტი – თამარ მეფის სანაპირო. (სარეკლამო ფართი 748 კვ.მ.)

ა) თამარ მეფის სანაპიროზე არსებული განათების ბოძი 120 ცალი, რომელზეც შეიძლება განთავსდეს არანაკლებ 4.5 მ სიმაღლეზე 2კვ.მ ფართის ორმხრივი სარეკლამო ორმხრივი დროებითი სარეკლამო კონსტრუკცია„ საერთო სარეკლამო ფართი 480 კვ.მ.

ბ) რუსთაველისა და თავისუფლების ქუჩების კვეთაში სამმხრივი კონსტრუქცია ზომით 3X4მ, საერთო ფართით 36 კვ.მეტრი.

გ) აბაშიძის ქუჩაზე არსებული განათების ბოძი 40 ცალი, რომელზეც შეიძლება განთავსდეს არანაკლებ 4.5 მ სიმაღლეზე 2კვ.მ ფართის ორმხრივი დროებითი სარეკლამო კონსტრუკცია, საერთო სარეკლამო ფართი 160 კვ.მ.

დ) აბაშიძის ქუჩაზე სოფელ ბობოყვათის სარკინიგზო გადასასვლელთან ორმხრივი კონსტრუქცია 3X6 სარეკლამო ფართი 36 კვ.მ.

ე) აბაშიძის ქუჩაზე აგს „ლუკოილი"-ს მიმდებარედ ორმხრივი კონსტრუქცია ზომით 3X6 კვმ, საერთო ფართით 36 კვ.მეტრი.

I ლოტი – 1398,0 კვ.მ.

II ლოტი – 982,0 კვ.მ.

III ლოტი – 748,0 კვ.მ.